თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 13

ქ.თელავი 16. 08. 2018წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილი თვალიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.**
აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს დეპუტატები: გიორგი ჩაბრაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, ლევან ოთიურიძე, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, ალექსანდრე კუპატაძე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი ნუგზარ ბაჩიაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი დავით ქსოვრელიშვილი, მოქალაქეები: არჩილ მჭედლიშვილი, მაკა მოსიაშვილი.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. ქ. თელავის მიწათსარგებლობითი გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. ნ. ხვისტანი
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. ნ. ხვისტანი

3. თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) შემმუშავებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: 1. ქ. თელავის მიწათსარგებლობითი გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: როგორც მომხსენებელმა აღნიშნა ქ. თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის დოკუმენტაციის დამტკიცების პროცედურას არეგულირებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილების 23-ე მუხლი, რომლის თანახმადაც დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების პროცედურა ხორციელდება ორ ეტაპად, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ პირველი ეტაპით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შესაძლებელია შემდგომი ეტაპის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს თვითმმართველობის აღამსრულებელი ორგანო, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს გამოსცემს საკრებულო.

დავით ღაღანიძემ პროექტთან დაკავშირებით წარმოადგინა შემდეგი შენიშვნები:

- ქ. თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალება და ქ. თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება არ არის შეთანხმებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან.
- დაგეგმვის სახელმძღვანელო დოკუმენტებში მოთითებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის N1182 განკარგულება-,,თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. იყალთოში იყალთოს ხევის განვითარებისათვის ზოგიერთ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე'', რაც ყოვლად მიუღებელია.
- დაგეგმვის ტერიტორიულ საზღვრებში არ არის მოქცეული 2011-2014 წლებში ქალაქის საკუთრებაში გადმოცემული მიწები.

ნანა ხვისტანი დაეთანხმა დავით ღაღანიძის მოსაზრებას, რომ განკარგულების პროექტში არის მთელი რიგი ხარვეზები, დოკუმენტი არ არის სრულფასოვანი და საჭიროებს შესწორებას.

გადაწყვიტეს: ქ. თელავის მიწათსარგებლობითი გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტი ზემოთჩამოთვლილი შენიშვნების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიას.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში ცვლილებები გამოწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციის საფუძველზე, წარმოდგენილი სახით პროექტი მისაღებია და შენიშვნები არ გააჩნია.

მოსაზრებას დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც.

გადაწყვიტეს: დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) შემმუშავებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველ ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის შერწყმის შედეგად ძალადაკარგულად მიიჩნევა თითოეული მუნიციპალიტეტის სიმბოლოები (გერბი და დროშა). საკრებულო უფლებამოსილია დაადგინოს ახალი სიმბოლოები, შესაბამისად უნდა შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი რომელიც განახორციელებს მუნიციპალიტეტის სიმბოლოების შემუშავებისათვის საჭირო პროცედურებს.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) შემმუშავებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

კომისიის თავმჯდომარე: ნანა ხვისტანი